# სახალხო გაზეთი

№ 227 ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 227



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაბან“ ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

## დღეიდან გამოდის ახალი ორ კაპიკიანი გაზეთი „ხალხი“

ადრესი: დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 9 თებერვალს, გაიმართება ერთად-ერთი და უკანასკნელი

## კონცერტი

პარიზის ოპერის არტისტ Michele D'Arial—მ. ი. ნანობაშვილისა საოპერო არტ. ქ-ნ მ. ა. ნიკიტინ-კოლოტოვის და სკრიპკაზე დამკვრელ მ. ტ. ვახილიევის მონაწილეობით აკომპანიმენტს დაუკრავს ქ-ნი ქენია ნანობაშვილისა.

ბილეთები თეატრის კასაში ისყიდება.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. (3—444—3

დღეს, საღამოს 8 საათზე,

თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოხდება საქართველოს ისტორიის და საეთნოგრაფიო საზოგადოების

## წევრთა ჩვეულებრივი კრება.

წაკითხული იქმნება რეფერატი გ. ო. ყიფშიძის მიერ: „ქართული ლექსთაწყობა“. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ. (1—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ იუწყება, რომ ალექსანდრეს საქალაქო საავადმყოფოში (კანისა და ვენერიულ სნეულებათა) ათაშანგს პროფესორ ერლიხის 606 (სალვარზანით) სწამლობენ. ამ აპარატით წამლობის დროს, საავადმყოფოში მიღებულ გარდასახადის (6 მ.) გარდა ორი კვირის განმავლობაში, ავადმყოფნი პრეპარატის ფასსაც იხდიან—3 მანეთს. ხოლო ვასსერმანის სისხლის რეაქციის მოსახდენად—1 მ. 50 კ.

ცნობების მისაღებად უნდა მიჰმართონ საავადმყოფოს გამგე—ექიმს ს. ს. ისტამანოვს, დილის 7—12 საათამდე. (2—1045—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქაშნიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Erlich-chata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (200—5.—389)

**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტუღუშლაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო ავადმყოფთა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. კირალოვის სახლი, (50—15—20

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიორგიენის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა ჭიათურასა, გორსა, ბაქო'ს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სენაკსა და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა, სამტრედიისა, ყვირილისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება

საზოგადოების დამფუძნებელნი იუწყებიან, რომ საზოგადოების წესდება დამტკიცდა 1910 წლის 22 დეკემბერს.

წევრად ჩაწერა შეიძლება:

1. სახალხო გაზეთის რედაქციაში,
2. ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზ. მაღაზიაში,
3. ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკში,
4. დეპუტატთა საკრებულოსთან არსებულ საადგილ-მამულო კომისიაში,
5. სათავად-აზნაურო ბანკის დამფასებელ კომისიაში,
6. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში,
7. „კახეთის“ საზოგადოებაში (ერევნის მოედანზე),
8. „საეროს“ ამხანაგობაში.

წევრად ჩაწერისათანავე საჭიროა თითო მანეთი საწევრო ფულის წარმოდგენა. სასურველია მასთან ერთად შემოტანილ იქმნას აგრეთვე 1911 წლის საწევრო გადასახადი—3 მანეთი. მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ საზოგადოების წესდება უფასოდ. (6—1046—1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენ. № 57 (12)

ხუთშაბ, 10 თებერვალს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ გლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ყაჩაღები

დრამა 5 მოქმ. და 6 სურათად შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: პიერრეტა, ბ-ნნი: ალექს-მესხიშვილი, არადელი, გუნია, ბერიშვილი, გამყრელიძე, გვარამე, ივანიძე, ჟივიძე, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, მამფორია, ციციშვილი, საფაროვი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ადმინისტ. ქართ. დრამ. საზოგ.-ისა. რეჟისორი გლ. ალ.-მესხიშვილი.
2—1

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პაპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი ი. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვიროპ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (შო.—5.—553)

ქ. ქუთაისში
ქირურგიული და დედათა სნეულების
## საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—35)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში სწავლობს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (ო.—188—79

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. ო.—180—82

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—311

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—42)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)


## ტფილისი, 9 თებერვალი

**სტუდენტების მოძრაობა.** სტუდენტების მოძრაობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რანაირიც დღემდის არასოდეს არ მიუღია. წლევანდელი მოძრაობა იმით განსხვავდება წინა წლების მოძრაობიდან, რომ ეხლა სტუდენტებმა ობსტრუქციას მიჰმართეს და ლექციების შესაწყვეტად ძალა იხმარეს. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობებით, აღარც ერთი უნივერსიტეტი არ დარჩენილა, სადაც სტუდენტებს გაფიცვა არ გამოეცხადებინოთ და ობსტრუქციით თუ სხვა გვარს ზომებით ლექციები არ შეეწყვიტოთ. გამონაკლისს მხოლოდ ოდესის უნივერსიტეტი შეადგენს, იქ დღემდის სწავლა შედარებით წესიერად სწარმოებს.

სტუდენტების მოძრაობა თვალ-საჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს რუსეთის საზოგადოებრივს ცხოვრებაში. ამ მოძრაობამ უმაღლეს სასწავლებელთა ცხოვრების ნორმალური მსვლელობა დაარღვია. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ პრესა და რუსეთის საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებითის გულის-ყურით ეკიდება ამ მოძრაობას. მემარჯვენე გაზეთები, რა თქმა უნდა ერთხმად ჰლაღადებენ სტუდენტების მოძრაობა ებრაელების მიერ მოსყიდულმა რევოლუციის აგენტებმა მოახდინესო. ასეთი ახსნა სტუდენტთა მოძრაობისა და ამ სფერაში ძებნა მოძრაობის მიზეზებისა დღეს, რა თქმა უნდა, აღარავისა სჯერა. ზომიერი ელემენტები რუსეთის საზოგადოებისა უფრო კულდასმით ეძებენ მოძრაობის მიზეზებს და თავს იმ მოსაზრებით არ იტყუებენ, რომ მოძრაობა მოსყიდულმა ხალხმა გამოიწვია.

ამ მხრით ძალიან საინტერესოა „გოლოს მოსკვის“ აზრის გაგება. ეს გაზეთი ოქტომბრისტების ორგანოდ ითვლება, და ამიტომ იგი რაოდენადმე სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტთა ფრაქციის აზრთა გამომხატველიცაა. „გოლოს მოსკვი“ მეთაურს წერილში სტუდენტების მოძრაობას ეხება და ბევრს ისეთს აზრს გამოსთქვამს, რომელთა გაცნობაც ჩვენის მკითხველისთვის უსარგებლო არ იქნება. უპირველეს ყოვლისა გაზეთი აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა გაგება სტუდენტთა მოძრაობისაო; ამისათვის კი საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა როლი ითამაშა სტუდენტობამ რუსეთის საზოგადოებრივს ცხოვრებაში. გაზეთის აზრით, რუსეთის სტუდენტობა ერთს დროს რუსეთის საზოგადოებრივ აზრის გამომხატველი იყო. გაზეთი იგონებს იმ დროს, როდესაც თავისუფლად წერა და ფიქრი აკრძალული იყო და დასძენს, ფრთებ შეკრული საზოგადოებრივი აზრი მაშინ სტუდენტების მოძრაობაში ხედავდა გასავალსაო. დღეს კი, გაზეთის აზრით, სტუდენტთა მოძრაობას აღარავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს, რადგანაც უკვე არსებობს უფრო კარგი საშუალება საზოგადოებრივ აზრის გამოსახავად—სახელმწიფო სათათბიროვო.

სტუდენტებმა უნდა თავისი გზა აირჩიონ, დაუბრუნდნენ თავის პირდაპირს დანიშნულებას—სწავლას და საზოგადოებრივ აზრის გამოხატვა კი მიანდონ სახელმწიფო სათათბიროს, რომელიც ამის საუკეთესო საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთია ზემოხსენებულ გაზეთის აზრი სტუდენტების მოძრაობის შესახებ. მაგრამ უმთავრესი „გოლოს მოსკვის“ მაინც გამოურკვეველი რჩება. გაზეთი არავითარს პასუხს არ იძლევა იმის შესახებ, თუ რა უნდა ჩაითვალოს სტუდენტების მოძრაობის მიზეზად. გაზეთი თავის მოვალეობად სთვლიდა ამ მოძრაობის გაგებას, მაგრამ მაინც გაუგებარი დარჩა. საზოგადოებრივ აზრის გამოსახატავად სახელმწიფო სათათბირო არსებობს, მაშასადამე, სტუდენტობის მოძრაობა ვერ შეიძლება ამ აზრის გამომხატველად ჩაითვალოს. მაშ რამ გამოიწვია მოძრაობა? რჩება ერთად-ერთი პასუხი, სწორედ ისეთი, რომელსაც რეაქციონური გაზეთები იძლევიან—მემარცხენე პარტიათა პროვაკაცია. გაზეთმა სტუდენტების მოძრაობის აზრის გაგება მოინდომა და იმ დასკვნამდე კი მივიდა, რომ ეს სულ პროვაკაციის ბრალიაო.

ჩვენ სტუდენტების მოძრაობას არ გვინდა გამოვესარჩლოთ, პირ-იქით სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მოსწავლე ახალგაზდობა საზოგადოებრივ აზრის გამომხატველი არ უნდა იყოს. არა ნორმალურია ის მდგომარეობა, რომელიც საზოგადოებრივ აზრის გამომხატველის როლს მოსწავლე ახალგაზდობას აკისრებს, როგორც არა ნორმალური იყო ის დრო, როდესაც საზოგადოების უკმაყოფილება სტუდენტების მოძრაობაში ჰპოულობდა გასავალს. მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი ლოღიკური წინააღმდეგობა, რომელიც ჰბადებს ოქტომბრისტთა გაზეთის გაუგებრობას. გაზეთს რომ ლოღიკურად განევითარებინა თავისი აზრი და სტუდენტთა მოძრაობის ნამდვილი მიზეზების გამოძებნა მოესურვებინა, მაშინ მისი მსჯელობა სულ სხვანაირს ხასიათს მიიღებდა. როდესაც სახელმწიფო სათათბირო არ არსებობდა საზოგადოებრივი აზრი სტუდენტთა მოძრაობით გამოიხატება; თუ დღეს სტუდენტთა მოძრაობა მაინც არსებობს, სახელმწიფო სათათბირო საზოგადოებრივ აზრის გამომხატველი არა ყოფილა, აი ასეთს დასკვნამდე მიიყვანდა ოქტომბრისტების ოფიციოზს სინამდვილის ლოღიკური ანალიზი.

მაგრამ ეს სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიის მსჯავრის დადება იქნებოდა, და ოქტომბრისტების ოფიციოზმაც ისევ ულოღიკობა არჩია. ამიტომ სტუდენტების მოძრაობის მოსასპობად საჭიროა არა მხოლოდ უნივერსიტეტების ძირითადი რეორგანიზაცია, როგორც ამას ოქტომბრისტების ოფიციოზი ამბობს, არამედ სათათბიროს მოქმედების გაცხოველება და აღთქმულ რეფორმების განხორციელება. როდესაც სათათბირო საზოგადოებრივ აზრის ნამდვილ გამომხატველად გადაიქცევა, სტუდენტების მოძრაობასაც სამუდამოდ ბოლო მოეღება.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.**

პირველ-დაწყებით სკოლათა კანონ-პროექტს მესამეთ იხილავენ. მინისტრთა ლოჟაში განათლების მინისტრი და სინოდის ობერ-პროკურორი სხედან.

მორიგ საკითხად არა-რუსთა სკოლების წესდების განხილვაა.

პირველ ნაწილს ენ-კეევის შესწორებით ღებულობენ:

„იმ ადგილებში, სადაც არა-რუსნი მოსახლეობენ და თავისი საკუთარი მწერლობა აქვთ, ნება აქვთ ერთკლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლები დაიარსონ, სადაც სწავლება დედა-ენაზე იწარმოებს, თუ რუსულის სკოლიდან სამი ვერსის ირგვლივ 50 არა-მცოდნე ბავშვი მაინც მოიპოვება, სასკოლო ჰასაკისა“.

მე-17 მუხლს ღებულობენ.

მე-18—28 მუხლებს ღებულობენ იმ შენიშვნით, რომ გერმანელთა სკოლებში სწავლის კურსი შეიძლება 7 წლამდე გაგრძელდეს.

29 მუხლს ოქტომბრისტების შესწორებით ღებულობენ:

„სამღვთო სჯულის მართმადიდებელ მასწავლებელთ სკოლის დამაარსებელნი იწვევენ და სწავლების დასტურს სკოლის გამგე სამღვდელონი აძლევენ, ხოლო ერისკაცებს სამღვთო სჯულის მასწავლებლად, შესაფერ სღვთისმეტყველო განათლებით აღჭურვილთ აწესებენ. პირველთაც და მეორეთაც ეპარქიალურ მთავრობასთან შეთანხმებით სამოსწავლო საბჭო ამტკიცებს“.

**ბებეშკორი.** ს.-დემოკრატთა სახელით წინადადებას იძლევა ეს მუხლი მთლად გამოსტოვონ. ორატორი აღნიშნავს, რომ კადეტები უმთავრესად ს.-დემოკრატებთან ერთად არიან ხოლმე, ხოლო სათათბიროს ძალთა განწყობილების მცირედ ცვლილების დროს კი ს.-დემოკრატთა შესწორებას არ ემხრობიან, აგრეთვე პოლონელ ნაციონალიზმის იდეოლოგნი ს.-დემოკრატთა შესწორების წინააღმდეგ მიდიან, მაშინ როდესაც ეს შესწორება ეროვნებათა გამოსარჩლებაა. აი რა ღირსებისაა პოლონელთა ნაციონალიზმი და კადეტთა დემოკრატიზმი. (უკიდურესი მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

მე-30—31 მუხ. ღებულობენ.

მე 54 მუხლი განმარტავს, რომ სამაზრო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება სამაზრო სოფლობა კრების მიერ არჩეული პირი.

განათლების მინისტრი. ამ თანამდებობაზე თავად-აზნაურთა მაზრის წინამძღოლი უნდა ინიშნებოდეს.

ეს წინადადება უარ-ჰყვეს.

თავმჯდომარე. დეპეშამ გვაუწყა, რომ ვილნოს წარმომადგენელი სათათბიროს დეპუტატი მონტვილლი უეცრივ გარდაცვლილა. ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ.

ყველანი ფეხზე დგებიან.

სათათბირო სასკოლო კანონპროექტის განსახორციელებელ დებულებათა განხილვას უბრუნდება.

პირველ თავს ამ რედაქციით ღებულობენ:

ამ დებულებას ექვემდებარება ყველა უწყებათა სკოლები, ვისის ხარჯითაც უნდა იყოს დაარსებული.

ტიმოშკინი. სამოსწავლო საბჭონი ღარიბ მოწაფეებს ტანისამოსს უნდა ურიგებდნენ, რადგანაც უტანისამოსობა სკოლაში უსიარულობის საპატიო მიზეზია.

ნოვიცკი მეორე. სოფლის ღატაკებს სავალდებულო სწავლას ახვევთ თავზე და იმას კი ივიწყებთ, რომ ბევრს რუსის ოჯახში ერთი წყვილი ჩექმებია, რომელსაც რიგ-რიგად იცვამენ მისი ოჯახის წევრნი.

გუჩკოვი თავმჯდომარეობს. კადეტთა შეკითხვას კითხულობენ, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და განათლების მინისტრს ეხება, 1907 წ. 11 ივნისის მთავრობის განკარგულებით 1905 წ. 25 აგვისტოს დროებით წესების გაუქმებაზე.

ბუკლოვი. მინისტრთა საბჭოს განკარგულება 1910 წ. 1 დეკ. და 1911 წ. 11 იანვრის, აუქმებს უმაღლეს ბრძანებას, და ისეთს პირობებსა ჰქმნის, რომ კანონიერ ნიადაგზე მდგომ პროფესორებს ჰფანტავს, რუსეთის სიამაყემ—მოსკოვის უნივერსიტეტმა საუკეთესო პროფესორები დაჰკარგა და დარაჯებით გაავსო... დროა ხმა ამოვიღოთ, რომ ის ადამიანი, რომელიც უმაღლეს ბრძანებასაც ეურჩება, ვიღაც ბერის (ილიოდორი) წინაშე უძლური აღმოჩნდა. ასეთი ადამიანი ღირსი არ არის იმ უმაღლეს ადგილისა, რაც მას აბარია (ოპოზიცია ტაშს უკრავს).

მაკლაკოვი. საუნივერსიტეტო საკითხი ამ ჟამად იმისი მინიატურაა, რაც მთელს რუსეთში ფართოდ ჰხდება. როდესაც უნივერსიტეტის გარეშე მდგარმა ხალხმა, არა სარევოლიუციო გამოსვლის წასაქეზებლად, სასწავლებელთა გაფიცვაზე იწყეს ქადაგება, პროფესორები მემარცხენეთ სტვენის გავლენით თავგანწირვამდე მივიდნენ (ხმები: რას მიჰქარავთ). უკვე ახლო იყო უფლებრივ წესწყობილების დამყარება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ყველასთვის სასურველი არ იყო. როდესაც მემარჯვენეთა წასისინებით მთავრობამ პროფესურას გამცემი მუჯლუგუნი უთავაზა ზურგში, უსამართლო და უკიდურესი ზომებიც არ კმაროდა სტუდენტთა გასაბოროტებლად, მათი მოსარჩლენიც უნდა გაელახნათ... მთავრობამ უნივერსიტეტში პოლიცია შეიყვანა. სადაც ორთა-ბრძანებლობა ჰმეფობს იქ მთავრობაც აღარ არის და ანარქია იწყება. უნივერსიტეტში პოლიციის შეყვანა, ეს უაღრესი ეშმაკური პროვაკაციაა (ოპოზიცია ტაშს უკრავს). მთავრობის პროვაკაციული სისტემა უმთავრესად საშუალო მკვიდრთ მოჰხვდა გულში, რომელიც სამინისტროს თვითნებობის მოსისხლე მტერია. მთავრობის სისტემას მხოლოდ ობსტრუქციონისტები დაუკრავენ ტაშს, რომელიც მთავრობის უბეში შეუთვისებიათ უკანონობა და ძალმომრეობა. ეს ზომები რუსეთის კულტურის გულისათვის კი არა ადმინისტრატიულ საზიზღარ თავმოყვარეობის გულისთვისა სწარმოებს. მსხვერპლს რუსეთს კი არა სწირავენ, არამედ მოსკოვის პროფესურას, რომელსაც პროფესორობა და მეცნიერობა დავიწყებია და შინაგან საქმეთა მინისტრის სათამაშო ნივთად გამხდარან. მსხვერპლი იწირება იმ პოლიტიკან მლიქვნელ ბრძანებლობის მოყვარეს, რომელიც რუსეთის საბედისწეროდ მმართველობის სათავეში მოჰქცევია (ძლიერი ტაშის ცემა მარცხნივ, ცენტრი და მემარჯვენენი დრტვინავენ). ეს პროვოკატორული, აზეფის ღირსი პოლიტიკა, სამარცხვინო დაღად დაესმება მინისტრთა თავზე და თქვენის დასკვნითა თქვენ დაამტკიცებთ გსურთ თუ არა მათთან გაღიაბათ ხალხის ნორჩი წარმომადგენლობა. თუ თქვენ ამ შეკითხვის სწრაფ-განხილვას უარჰყოფთ, მაშინ დაადასტურებთ, რომ რუსეთში ყველაფერი რიგზეა, რომ თქვენ ამოდენა ხალხს ენდობით (ძლიერი და ხანგრძლივი ტაშის ცემა მარცხნივ, სტვენა და ყვირილი მარჯვნივ).

როდიჩევი. რაც უნივერსიტეტის ავტონომია გამოაცხადეს, ხუთის წლის განმავლობაში სტუდენტთა არეულობაც არა ყოფილა. სტუდენტთა დასაწყნარებლად ერთი საშუალებაა: მას უნდა დაუმტკიცოთ, რომ სცდება არამც თუ გარეგნულად, არამედ არსებითადაც. ამისი დამტკიცება კი მეტად ძნელია, რადგანაც ჩვენი მთავრობა იმის ცდაშია, რომ ძალის წინაშე ქედი მოახრევინოს. მაგრამ ხეპრე ძალით განათლების თესვა ხომ წარმოუდგენელია. თუ სათათბიროსა ჰსურს რუსეთის უძვირფასესი რამ—მეცნიერება—შეინახოს, რომლის ჩაუყვავებლადაც სახელმწიფოს ძლიერება შეუძლებელია, მან შემოტანილი შეკითხვა უნდა მიიღოს (მარცხნივ ტაშისცემა).

პურიშკევიჩი. მთავრობას ურჩევს თავის დაწყებულ საქმეს ნუ შეაფერხებს და თავისი პოლიტიკა განახორციელოს, თუნდაც ამისათვის შტიკებით გარეკა დასჭირდეს იმ „კომპანიისა“ რომელიც არეულობას იწვევს.

160 ხმით (ნაციონალისტები და ოქტომბრისტები) 109 წინაამდეგ (ოპოზიცია) ამ შეკითხვის სწრაფ-განხილვის საჭიროება უარჰყვეს.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

## სტუდენტების მოძრაობა

### დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან

პეტერბურგი. უნივერსიტეტში პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი სდგას. ლექციები არ შესდგა, რადგანაც კვლავ ქიმიურს ობსტრუქციებს ახდენენ. უნივერსიტეტი დაცარიელდა. ქალთა უმაღლეს კურსებზე მსმენელები ლექციების კითხვას ხელს უშლიდნენ. ქალთა საექიმო ინსტიტუტში სწავლა არა ყოფილა, რადგანაც მსმენელები არ მივიდნენ.

პეტერბურგი. რადგანაც უნივერსიტეტში სტუდენტები აღარ არიან, ორი საათიდან შენობიდან პოლიციელები გაიყვანეს. დაატუსაღეს რამდენიმე სტუდენტი იმ დროს, როდესაც ისინი ობსტრუქციის მოხდენას აპირებდნენ. დღისით იურიდიულ ფაკულტეტზე მხოლოდ ერთი ლექცია შესდგა—პროფესორის ოზეროვისა.

მოსკოვი. მოძრაობაში მონაწილეობისთვის დატუსაღებულია 130 სტუდენტი, 56 სტუდენტს აეკრძალა მოსკოვში ცხოვრება გაძლიერებულ წესების მოხსნამდე.

ოდესა. საექიმო ფაკულტეტზე პროფესორს მანკოვსკის ქიმიური ობსტრუქცია მოუხდინეს, დაატუსაღეს ორი სტუდენტი. სხვა ფაკულტეტებზე ლექციები წესიერად მიდიოდა. ქალთა უმაღლეს კურსებზე ლექციის ძალით შეწყვეტა სცადეს. დატუსაღებულია თექვსმეტი მსმენელი.

ყაზანი. ლექციებს ცოტა მსმენელები ესწრობა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

### საზღვარ-გარედ.

8 თებერვალი

სტამბოლი. ვაჭრობისა და სახალხო განათლების მინისტრი ჯერ არ დაუნიშნიათ. ვაჭრობის სამინისტროს დროებით განაგებს დიდი ვეზირი, სახალხო განათლებისას—ფინანსთა მინისტრი.

ლონდონი. „ტაიმსი“ სწერს: „პეკინში დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ რუსეთს მიზეზი აქვს უკმაყოფილებისა. ნოტა ამ მიზეზების მხოლოდ ერთს ნაწილს შეეხება. რუსეთი დიდს სამსახურს უწევს ყველას, რადგანაც ჩინეთს ასწავლის, რომ ხელ-შეკრულობათა დარღვევა არ შეიძლება.

პარიზი. „ტანში“ გამოქვეყნებულია ჩინეთის თვალსაზრისი რუსეთის ულტიმატუმის შესახებ. ჩინეთში დარწმუნებულნი არიან, რომ თავისი ულტიმატუმით რუსეთსა სურს 1881 წლის ტრაქტატის გადასინჯვას ხელი შეუშალოს.

პეკინი. ჩინეთის აღგილობრივი საბაჟო რუსეთისა და უცხოეთის ექიმებს იწვევს ჟამთან საბრძოლველად. თვეში თითო ექიმს 400 მან. დაენიშნება.

სტამბოლი. შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა დაგზავნა ცირკულიარი, რომლითაც იგი წინადადებას აძლევს მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს, დაიცვან კანონიერება და ყველა ეროვნებათა თანასწორობა კანონის წინაშე.

### ჟამი

ხარბინი. 6 თებერვალს შესამოწმებელ ბარაკში იყვნენ 818 ჩინელი, 14 ევროპიელი, ცალკე მოათავსეს 14 ჩინელი, 2 ევროპიელი. შესამოწმებელ კარავში გარდაიცვალა 1, საავათმყოფოში—9 ჩინელი. ცის ქვეშ იპოვნეს 5 გვამი. სულ გარდაიცვალა 15. დარჩნენ შესამოწმებელ კარავში 550 ჩინელი და 13 ევროპიელი. გაცალკევებულია 14 ჩინელი და 2 ევროპიელი. საავათმყოფოში 11. ღამე გაცალკევებულებთან მყოფი ფერშალი გარდაიცვალა.

### რუსეთი

კამენეც-პოდოლსკი. თოვლის მოსვლის დროს იელვა და ორჯელ იქუხა.

კიევი. სენატორ ნეიდგარდტის განკარგულებით გაჩხრიკეს ტეხნიკური კონტორა და ინჟინერ ჟილინსკის ბინა. საბუთის ქაღალდები და მიწერ მოწერა წაიღეს.

მოსკოვი. ქალაქის უფროსმა დააჯარიმა გაზეთები „უტრო როსიი“ 500 მან. წერილისთვის „რუსეთის დრამა“ და „კოპეიკა“ სტატია „დემონსტრაცია ანუ აუცილებლობის“ დაბეჭდისთვის, — 500 მანეთით.

ასტრახანი. დაბა დუტირ-ში ჟამით სეჭვო ავადმყოფნი აღმოაჩინეს. 3 გარდაიცვალა, ერთი ავათ არის.

ცარიცინი. ილიოდორი სინოდის განკარგულებას არ დაემორჩილა და სახელმწიფო სათათბიროს წევრთან ვოლოდიმიროვთან ერთად ცარიცინში დაბრუნდა.

ხარბინი. ჩინეთის მთავრობასთან შეთანხმებით მოვიდნენ ჩინელები 500 ურმით, რათა გადაზიდ-გადმოზიდვა უზრუნველჰყონ.

პეტერბურგი. პარიჟში მყოფი დესპანი სოლვეტნიკი ნეკლიუდოვი სოფიის დესპანად დაინიშნა.

## ახალი ამბები

### ტფილისი

✦ 7 თებერვალს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოჰხდა, რომელზედაც გამოირკვა, რომ საზოგადოების ფინანსიური ანგარიში უკვე იბეჭდება და ამ დღეებში მზად იქმნება. გამგეობამ დაადგინა, პარასკევს, 11 თებერვალს, სარევიზიო კომისია მოიწვიოს ანგარიშის განსახილველად, ხოლო კვირას, 13 თებერვალს, დილის 11 საათზე სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების საერთო კრება გახსნას.

✦ გუშინ დილით დააპატიმრეს „სინათლე“-ს რედაქტორ-გამომცემელი ივ. პავ. როსტომაშვილი, რადგან სათავდებო ფული (200 მან.) ვერ წარადგინა. როგორც ვწერდით, იგი სამართალშია მიცემული სასჯელთა დებულების მე-129 მუხლის ძალით.

✦ 7 თებერვალს ტფ. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებამ მთელი დღე მოანდომა ექიმ ტურიაშვილის საქმის გარჩევას. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. გამოწვეული იყო 30 მოწმე და 8 ექიმი-ექსპერტი. ბრალად ედებოდა ყრუ-მუნჯ მონაზონის გაუპატიურება. ნაშუადამევის პირველს საათზე სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც ექიმი ტურიაშვილი დამნაშავედ იცნო აღნიშნულ დანაშაულებაში და უფლებათა ჩამორთმევა და 8 წლის კატორგა გადაეწყვიტა.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულომ საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს 1910 წ. ანგარიში წარუდგინა, საიდანაც სჩანს, რომ 1910 წელს ჯარში გასაწვევ სიაში შეტანილი ყოფილა 790 ახალგაზრდა; სამხედრო სამსახურში უნდა მიეღოთ 210. შემოწმების შემდეგ მიუღიათ 186.

✦ თებერვალს ტფილისში თავის ბინაზე თავი ჩამოიღრჩო ივანე იაკობის ძე გორლოვმა, ხელობით თერგმა. 34 წლისა იყო.

✦ დღეს ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს კრება მოჰხდება მორიგ საკითხთა განსახილველად.

✦ 6 თებერვალს ხალხთა გამართობელ ტფილისის საზოგადოების გამგეობას ჰქონდა სხდომა და გადასწყვიტა, ამ ახლო ხანში მოიწვიოს ვერის საზოგადოება და გააცნოს მათ, თუ რად შეჩერდა ვერის აუდიტორიაში მოქმედება და რაა საჭირო, რომ მოქმედება კვლავ დაიწყოს. ამასთანავე გადასწყვიტა, გამართოს უფასო კონცერტი და რეფერატი (რუსულ და ქართულ ენაზე) გლეხთა განთავისუფლების 50 წლის აღსანიშნავად.

✦ გუბერნატორმა ნება დართო ტფ. მაჰმადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას, 11 თებერვალს საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენა გამართოს.

✦ 7 თებერვალს ტფ. საგუბერნიო სანიტარულ კომისიის კრება მოჰხდა. კომისიამ მსჯელობა იქონია სხვათა შორის, ხოლერის თაობაზე, რომელმაც წარსულს წელს რუსეთში 150,000 კაცი იმსხვერპლა. კომისიამ აღიარა, რომ ხოლერასთან ბრძოლა ყოვლად შეუძლებელია მთავრობის დაუხმარებლად და დაადგინა, 70 ათასი მანეთი ითხოვოს ხაზინიდან ტფ. გუბერნიაში ამ სენთან საბრძოლველად.

✦ თომა ხარაზოვის მეტაკების საქმე, რომელიც ამ დღეებში უნდა გაერჩია კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოს, სხვა დროისთვის გადაიდო, ზოგიერთი მოწმის გამოუცხადებლობის გამო.

✦ 5 თებერვალს ტფ. ოლქის სასამართლოს სესია სიღნაღს გაემგზავრა სისხლის სამართლის რამდენიმე საქმის გასარჩევად.

✦ მოკლე ხანში ტფ. ვაჭართა საზოგადოება ქალთა სავაჭრო სკოლას გახსნის.

## ჩვენი სოფლის საჭიროება

2

წინა წერილში მოხსენებული მოვლენა, სხვა ქვეყნებშიაც ყოფილა*.) იქაც საჭიროდ მიჩნეული იყო მიწის გასანოყიერებლად მისი სამ წელიწადში ერთხელ დასვენება. იქაც მუდამ ერთსა და იმავე ხორბლეულს სთესავდნენ, იქაც მიწას ხელოვნურად იშვიათად თუ ასუქებდნენ, რადგანაც, მიწის სივიწროვისა გამო, სოფლელს შინაური საქონელი საკმაოდ არ ჰყავდა.

ამის გამო წარსულ საუკუნის შუა ხანებში მიწები იქ იმდენად დაიღალა და გამოიფიტა, რომ მაგ. საფრანგეთსა და გერმანიაში ყანების ერთი მესამედი ყოველთვის დასასვენებლად დაუმუშავებელი უნდა დარჩენილიყო. მოსავალმაც იკლო, დესეტინაზე 50—40 ფუთიც აღარ მოდიოდა. საქონლის მოშენება, მიწის სივიწროვისა გამო, თანდათან მცირდებოდა.

სასოფლო მეურნეობის დასუსტებამ სამეურნეო ნაწარმოების გაძვირება გამოიწვია. ეს გაძვირება ხანგრძლივი არ იყო, მალე ევროპაში იწყეს შემოტანა უფრო იაფ ხორბლისა სამეურნეო სხვა ნაწარმოებისა სხვა ქვეყნებიდან (ამერიკიდან, ავსტრალიიდან, ინდოეთიდან და სხ.), სადაც ჯერ კიდევ ბევრი ახალი და ნოყიერი მიწები იყო და სოფლის ნაწარმოები ჯერ კიდევ იაფი ჯდებოდა.

ამნაირად სოფლის მეურნეობა თან და თან საზარალო გახდა და ყველას,—ვინც სოფლად ცხოვრობდა და მიწის დამუშავებით იკვებებოდა,—გადასაწყვეტად მწვავე საკითხი დაუდგა წინ: ან ხელი აეღო სასოფლო მეურნეობაზე, ან—რამე საშუალებით იგი უფრო ნაყოფიერი და შემოსავლიანი გაეხადა.

თეორიულად ეს საკითხი მეცნიერებამ უკვე გადასწყვიტა წარსულ საუკუნის მეორმოცდაათე წლებში. გამონახეს საშუალება მიწის ნოყიერების აღსადგენად, შეიმუშავეს ხვნა-თესვის ახალი წესები, რომლის მიხედვით მიწა ბუნებრივისა და ხელოვნურის სასუქით უნდა განოყიერებულიყო, რათა მას ყველა ის შემადგენელი ნაწილი დაჰბრუნებოდა, რომელიც მცენარის ზრდას სჭირდება. წინად მიწის გასანოყიერებლად სამ წელიწადში ერთხელ თუ ასვენებდნენ, ახლა ახალი წესი შეიმუშავეს—მორიგათ თესვა—რომლის მიხედვით მიწაზედ ყოველ წელიწადს სხვა და სხვა მცენარესა სთესავენ, შემოიღეს დროგამოშვებით ბალახის თესვა, ძირთავა მცენარეთა მოყვანა (კარტოფილი, ჭარხალი და სხვ.), შეიტყვეს, რა მნიშვნელობა აქვს თესლების გადარჩევას და სხვა. ამავე დროს გამოიგონეს ახალი, უფრო შესაფერი, სამეურნეო იარაღები, გამოარკვიეს საშუალებანი ნიადაგის უკეთესად სახნავად და მცენარეთა მოსავლელადაც.

და აი, ბაზრის ახალ პირობების გამო, სამეურნეო მეცნიერების გავლენით, სოფლის მეურნეობა ძალაუნებურად სხვა და სხვა ცვლილებების გზას დაადგა. რამდენიმე წლის განმავლობაში მეურნეობა სულ შეიცვალა. დღეს იგი მოგების მომცემია და უცხოეთის მეტოქეობა მას აღარ აფრთხობს. მიწის ნაყოფიერება თან და თან იზრდება, ნაწარმოები იაფდება და სოფლელის შემოსავალი კი ამის და მიუხედავად თან და თან მატულობს.

ხორბლის საშუალო მოსავალი დესეტინაზე 50—40 ფუთიდან 120—150 ფუთამდე ავიდა, უკეთეს პირობებში კი იგი ხან და ხან 300 ფუთსაც უდრის. დასასვენებლად ახლა მთელი მიწების მხოლოდ 5 პროც. რჩება, ზოგან ამაზე ბევრად ნაკლებიც, ე. ი. შესაძლო გახდა ყველა კარგი მიწების გამოყენება ყოველ წლივ.

მორიგად თესვა და დრო-გამოშვებით ბალახისა და ძირთავა მცენარეთა მოყვანამ საქონლის მოშენებაც შესაძლოდ გაჰხადა, რადგანაც, საბალახოზე გარეკის მაგიერ, საქონელს საკვები შინვე გაუჩნდა. ამნაირად მეურნეობის ზოგიერთი ნაყოფი (ბალახი, ძირთავა მცენარეთა ნაყოფი) და ზოგიერთი გადანაყარი (ჰაჰა და სხ.) აქვე საკვებად ერგება საქონელს, რომელიც სამაგიეროდ სხვა და სხვა გასასყიდ რამეებს იძლევა (რძეს, კარაქს, ხორცს, ერბოსა და სხვას) და ამას გარდა წესიერ მეურნეობისათვის აუცილებლად საჭირო მიწის სასუქსაც სტოვებს. საქონლის მოშენება იმდენად მომგებიანი გამოდგა, რომ ზოგიერთ ქვეყნებში (დანია, ჰოლლანდია) ხალხი ხვნა-თესვას სტოვებს და განსაკუთრებით საქონლის მოშენებას ადგება,—ესე იგი იმის წინააღმდეგი მოვლენა ჰხდება, რომელიც წინედ სოფლის მეურნეობას ემჩნეოდა. საკვირველიც არ არის, რადგანაც იქ ერთი ძროხა, მაგ. თავის პატრონს წელიწადში 80—100 მანეთს მოგებას აძლევს.

მაგრამ ახალ სამეურნეო წესების სარგებლობა სხვაც ბევრია. სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა ნაწარმოების დასამუშავებლად სასოფლო მრეწველობაც ჩნდება, ძირთავების დასამუშავებლად (შაქრისა, სახამებლის) ქარხნები არსდება; აგრედვე სპირტის სახდელი, ხილის სახმობი, ყველის და კარაქის და სხვა მრავალგვარი ქარხნებიც.

საჭირო ფულსა და შესაფერ ცოდნას მოკლებულ, წვრილ და საშუალო მეურნეობისათვის მთელის სასოფლო მეურნეობის ასეთი ძირითადი გარდაქმნა ძნელი და შეუძლებელიც უნდა ყოფილიყო. ამ გარდაქმნას სასოფლო წარმოების ახალმა ორგანიზაციამ—კოოპერაციამ შეუწყო ხელი. კოოპერაცია მეტად ძლიერი ბრძოლის საშუალება გამოდგა,—მან ყოველი დაბრკოლება ადვილად სძლია, რომელიც მეურნეობის განვითარებას წინ ეღობებოდა. მან სოფლად წვრილი კრედიტი მოაწყო და მეურნეს საქმისათვის საჭირო ფული უშოვნა, მის საშუალებით მოეწყო კურსები, საჯარო ლექციები და ბაასები სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვების გადასაწყვეტად. მისივე წყალობით საცდელი და სანიმუშო მინდვრები გამრავლდა. კოოპერაციამ ყოველივე ცოდნას მოკლებულ წრეებში განათლების სხივი შეიტანა. სასოფლო ნაწარმოების გამსაღებელ ამხანაგობათა მოწყობით, კოოპერაციამ წვრილ მეურნეებს პირ და პირ დიდსა და შორეულ ბაზრებთან დააჰკავშირა საქმე და ამით საქმეს აუარებელი მავნე შუამავალი ჩამოაცალა.

ერთის სიტყვით კოოპერაცია სოფლის მეურნეობას აწვდის ყველაფერს, რაც საჭიროა საქმის რიგიანად მოწყობისათვის. იგი იმდენად სასარგებლო და შესაფერი გამოდგა, რომ სულ მცირე ხანში—წარსულ საუკუნის მე-80 წლებს აქეთ—დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოში მალე გავრცელდა და აქედან სხვა ქვეყნებშიაც გადავიდა. ამ ჟამად ზოგიერთ სახელმწიფოს სასოფლო მეურნეობაში კოოპერაცია უმთავრეს საორგანიზაციო ფორმად ითვლება. დანიაში მაგ. 90% დამზადებულ კარაქისა საამხანაგოდ კეთდება და იყიდება. ჰოლანდიაში მთელ იქაურ ყველისა და კარაქის 60% კოოპერატივებში კეთდება. გერმანიაში სოფლის მეურნეთა ნახევარი ნაწილი კოოპერატივების წევრებად ითვლება. საამხანაგო ორგანიზაციები ისეთის სისწრაფით იზრდება, რომ მალე ყველა განათლებულ ქვეყნებში გაბატონდება.

ამნაირად ჩვენს თვალწინ გადაშლილია დასავლეთ ევროპის გამოცდილება და იქაური ნამოქმედარი სასოფლო მეურნეობის გარდაქმნის საქმეში. ეს გამოცდილება საჭიროა ჩვენშიაც გამოვიყენოთ.

მაგრამ აქ წინდაწინვე ვგრძნობ პასუხს, რომელსაც ასე ადვილად იმეორებენ ისინი, ვისაც ყოველივე ახალი აშინებს: „კულტურა გვაკლია, ვერ გამოვიყენებთ იმას, რაც

*) ჩინეთს გარდა, სადაც ათასი წლების განმავლობაში ხალხი მიწას დაუზოგველად ამუშავებდა და სადაც მიწას ამის მიუხედავად თავისი ნოყიერება არასოდეს ოდნავადაც არ დაუკარგავს, რადგანაც ჩინელი ხოფლელი ყოველთვის ცდილობდა ხრულიად დაებრუნებინა მიწისათვის ის ნოყიერება, რომელსაც მიწა მცენარეებს აძლევდა.

✦ კახეთის რკინის გზის აქციები ტფ. სამეურნეო ბანკში გაიყიდება.

✦ კ. დოდაშვილი მოკლე ხანში არქეოლოგიურს საზოგადოებაში მოხსენებას წაიკითხავს ქართულ ფილოლოგიის შესახებ. მომხსენებელი მოწინააღმდეგეა პროფ. მარრის შეხედულებისა ქართულ ფილოლოგიაზე.

✦ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს კრება დღეს, 9 თებერვალს მოხდება.

✦ 7 თებერვლისოვის დანიშნული საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, რომელსაც 19 თებერვლის დღესასწაულის პროგრამა უნდა შეემუშავებინა, არ შესდგა.

✦ ტფ. საარტისტო საზოგადოებას წარსულ წლის განმავლობაში 80.079 მან. 33 კაპ. შემოსავალი და ამდენივე ხარჯი ჰქონია. ვარაუდით, მიმდინარე წელს საზოგადოებას შემოსავალი ექნება 69,690 მან., ხარჯი—67,290 მან.

✦ ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას ამ დღეებში კრება ჰქონდა 19 თებერვლის დღესასწაულობის შესახებ მოსალაპარაკებლად. კომისიამ დაადგინა, 18 თებერვალს ქალაქის ყველა პირველ დაწყებით სკოლაში პანაშვიდები გადაიხადოს განმათავისუფლებელ მეფის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად, ხოლო მეორე დღეს, პარაკლისის გადახდის შემდეგ, მოსწავლენი ერთად შეჰკრიბონ და 19 თებერვლის ისტორიული მნიშვნელობა აუხსნან.

✦ ამ დღეებში ი. გ. ქუთათელაძის თავჯდომარეობით კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოების წლიური კრება მოხდა. საზოგადოების წევრმა კ. ა. გორბაჩევმა ამ კრებაზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა კავკასიის ფუტკრის შესახებ. მომხსენებელმა კავკასიის ფუტკარს ბევრად დიდი უპირატესობა მისცა სხვა ქვეყნის ფუტკრებზე. კრებამ დაადგინა, სთხოვოს ბ-ნ გორბაჩევს, თავის მოხსენება ზოგიერთ ახალ ცნობით შეავსოს, რათა შემდეგში მოხსენება ცალკე წიგნად იქმნას გამოცემული.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად „სახატავი ნიმუშები და ქართულის წერის დედანი“ ს. დათეშიძისა.

✦ 7 თებერვალს მაძებარმა ბოლიციამ ტფილისში შეიპყრო რაჭის მაზრის სოფელ ბარის მცხოვრები ნიკოლოზ მარკოზის ძე გიორგობიანი, რომელიც თავის სოფელში იყო გაგზავნილი ბოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და ტფილისში თავის ნებით ჩამოვიდა. მას სამართალში აძლევენ.

✦ 7 თებერვალს ტფილისში შეიპყრეს 14 უპასპორტო.

## ტფ. ქალაქის საბჭო

### 7 თებერვლის კრება.

კრება საღამოს 8 საათსა და 45 წამს დაიწყო ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით, რომელმაც პირველად წაიკითხა ნამესტნიკის მეუღლის გრაფინია ვ. ა. ვორონცოვა-დაშკოვის წერილი, რომლითაც ქალაქის საბჭოს მადლობას უხდის სემირეჩინის მხარეში დაზარალებულთა სასარგებლოდ 200 მან. გაღებისთვის.

შემდეგ წაკითხულ და მიღებულ იქმნა ქალაქის გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ცირკის ცხენებს გადასახადი დაედოს ქალაქის სასარგებლოდ ისე, როგორც წინა წლებში იყო.

საბჭომ შემდეგ დაადგინა: შუამდგომლობა კვლავ აღძრას, რომ ქალაქს ხაზინიდან წელიწადში 100,000 მანეთი შემწეობა ეძლიოს ჯარის შესანახ ხარჯის გასასტუმრებლად.

მიღებულ იქმნა გამგეობის მოხსენება: ხოლერის საწინააღმდეგო კრებაზე, რომელიც პეტერბურგში იქმნება მოწვეული 22-დან 28 თებერვლამდე, გაიგზავნოს ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და სასანიტარო სამკურნალოს ინსპექტორი ბ-ნი სტეფანოვი, ხარჯად მიეცეთ მატარებლის პირველ კლასის ფული და ამას გარდა ყოველდღიური: პირველს—25 მანეთი, მეორეს—15 მან. ამ გაგზავნილმა პირებმა საკითხი უნდა აღძრან ტფ. ქალაქის სახელით იმის შესახებ, რომ საჭიროა დახმარება სოფლებსაც მიეცეთ ხოლერასთან ბრძოლაში, რადგან ეს საქმე პირდაპირ სახელმწიფო საქმეა. ამას გარდა კრებას უნდა სთხოვონ, მხარი დაუჭირონ იმ საკითხს, რომ ამიერ კავკასიის ქალაქებს ნება მიეცეთ, დროგამოშვებით საერთო კრებები ჰმართონ ხოლერასა და სხვა გადამდებ სენთან წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.

საბჭომ ქალაქის მოურავს დაავალა, პეტერბურგში კრების დასრულების შემდეგ კიდევ სამს კვირას დარჩეს და სამინისტროებსა და სხვა უმაღლეს დაწესებულებებში ჩქარი მსვლელობა მისცეს იმ შუამდგომლობებს, რომელნიც კარგა ხანია ტფ. ქალაქის საბჭოს აღუძრავს.

საბჭო შეუდგა კამათს ქალაქის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის გამო. მაგრამ რაიმე გარკვეული დადგენილება ვერ მიიღო. ამიტომ ამ საკითხის განხილვა გადაიდო მომავალ კრებისთვის, რომელზედაც ქალაქის გამგეობა ზოგიერთ თავის მოსაზრებასა და დამატებით ცნობებს წარმოადგენს.

## უცხო სიტყვები და ზედ-შესულები

(მცირე შენიშვნა მართლ-წერისთვის).

როდესაც რომელიმე არსებით სახელიდან ზედ-სართავს აწარმოებენ, სიტყვას საბოლოვო ხმოვანს ასოს (ი, ა, ე,) აკვეცენ და უმატებენ ზედ-სართავის დაბოლოვებას: ური. მაგ.: კაცი—კაცური, იტალია—იტალიური, მენავე—მენავური. თუ თვით სახელში გვხვდება ასო რ, მაშინ ური-ს მაგივრად ული ემატება. მაგ.: რუსი—რუსული, ივერია—ივერიული, ხეპრე—ხეპრული.

მას შემდეგ, რაც ქართველი მწერალი რუსულად აზროვნებას შეეჩვია, ყოველი ახალი უცხო სიტყვა შეცდომით თუ უშეცდომოთ ნახმარი, კანონიერად თუ უკანონოდ ნაწარმოები რუსულს ენაში, ქართულის ენის საკუთრებად გადაიქცა. ამიტომ თითქმის ყველა უცხო სიტყვას: ბერძნულს, ლათინურს, გერმანულს, ფრანგულს, — ქართულს ენაში ქართული დაღი აზის. იმის მაგივრად, რომ ახალი ტერმინი თავის მშობლიურ ლექსიკონიდან გადმონერგონ, ჩვენი პატივცემული მწერლები უცხო სიტყვას ისე ხმარობენ, როგორც რუსულად წაუკითხავთ და გაუგონიათ. მაგ.: გონორარი, გორიზონტი, გალუცინაცია, პარტნიორი, პარლამენტიორი, პალატა (მაშინ, როდესაც მრავალ საუკუნის განმავლობაში ქართულად პალატი იყო), იდეია და ათასი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

რუსულს ენაში მრავალი უცხო ენიდან წარმომდგარი, უკანონოდ ნაწარმოები, ზედ-შესული დაკანონდა და მემკვიდრეობით ქართულს ენას გადაეცა. თუ დროზე არ ვუშველეთ, უწესო და ქართულიდან ულაზათო ზედ-სართავები არ გავდევნეთ, მერე გვიანღა-ღა იქნება.

ამბობენ და სწერენ: არტისტიული საზოგადოება; არტისტიული თუ ზედსართავია, სახელი არსებითი არტისტია იქნება, მაგრამ საბედნიეროდ ფრანგული სიტყვა არტისტი სისწორით არის შემოტანილი ქართულს ენაში. მაშასადამე, ქართულად არტისტიული საზოგადოება კი არ იქმნება, არამედ არტისტული საზოგადოება, თუ კი საარტისტო არ გვინდა ვიხმაროთ.

ყველა ხმარობს ასეთს ზედ-შესულს: ფაკტიური. ლათინური ფაკტუმ, ქართული ფაკტი მოიცემა ზედსართავს: ფაკტური. მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ ფაკტური და არა ფაკტიური. სიტყვა ევროპიდან, ევროპიულის წარმოება შეუწყნარებელია. უნდა იწერებოდეს ევროპული და არა ევროპიული. ქართულად ვიტყვით ელემენტი, რომელიც წარმოსდგება ლათინურ სიტყვიდან: ელემენტუმ. რახან ქართულმა ენამ ელემენტი შეითვისა, ჩვენ შეგვიძლიან აქედან ყოველგვარი გრამატიკული ფორმა ვაწარმოვოთ. სხვათა შორის ზედ-სართავი ელემენტური და არაფრის დიდებით ელემენტარული, როგორც პატივცემული იაკობ გოგებაშვილი ხმარობს, ელემენტარ (ნამდვილად ელემენტერ) უკვე ელემენტურის ნიშნავს ფრანგულს ენაზე. სწერენ: ტერიტორიალური („სახალხო გაზეთი“ № 124), ესეც შეცდომაა. ნასესხები გვაქვს ტერმინი ტერიტორია, აქედან ქართული ენის წესის მიხედვით მივიღებთ ზედ-სართავს: ტერიტორიული. ამიტომ უნდა ვიხმაროთ ტერიტორიული და არა ტერიტორიალური, თუ ზედ-შესულის სატერიტორიო ხმარება არა გვსურს.

ზედ-შესული პროფესიონალური რომ პროფესია-დან წარმოდგება, ამას უცხო ენის მცოდნე თუ გაიგებს, ხოლო ყველას თვის გასაგები და კანონიერი ზედა-სართავი პროფესია-დან წარმომდგარი იქნება პროფესიული. სწერენ: ორგანიზაციონური, მაშინ როდესაც ორგანიზაცია-იდან მხოლოდ ორგანიზაციული-ს და საორგანიზაციო-ს წარმოება შეიძლება. თუ გვაქვს სახელი პროვინცია, შეგვიძლიან მივიღოთ ზედ-სართავი პროვინციული და არას—დროს—პროვინციალური, როგორც ამას ხშირად ხმარობენ. შეუწყნარებელია ზედ-სართავი პრინციპიალური, რადგან ფრანგულ-რუსულ-ქართული წარმოებაა და არა წმინდა ქართული. სიტყვა პრინციპი-დან მივიღებთ ზედ-სართავს: პრინციპური, აქედან შეგვიძლიან ზმნისზედაც ვაწარმოვოთ: პრინციპურად. სწერენ: დიამეტრალური, დიამეტრული-ს მაგივრად რომელიც დიამეტრი-დან სწარმოებს. ამბობენ: ადმინისტრატიული, უნდა ითქვას ადმინისტრაციული, რადგან ადმინისტრაცია-დან სწარმოებს ქართული ზედ-შესული და არა ფრანგულ ზედშესულიდან: ადმინისტრატივ.

უნდა იხმარებოდეს კამერული და არა კამერალური და სხვა და სხვა. ასეთი, უკვე ზედ-შესულის ფორმის გაზედ შესულება პრავალად გვხდება განსაკუთრებით თანამედროვე ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში. თუ ეს ფორმები არ განიდევნა, ქართულის ენის სიწმინდეზე ლაპარაკიც მეტია.

ბატონი კიტა აბაშიძე ჰხმარობს ზედ-სართავს ლირიული, ამ ზედსართავის აზრი როგორც ეტყობა სალირიკო უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ეს კეთილხმოვანი თუ არა კეთილხმოვანი ზედ-შესული არც ლირიკიდან წარმოსდგება და არც ლირიიდან. სახელი ლირა იძლევა ზედ-სართავს: ლირული, სახელი ლირიკა იძლევა ზედ-სართავს: ლირიკული.

ბ. რობაქიძე ხმარობს ზედ-შესულის: ლოგიური, თითქოს ქართულად და ბერძნულად ლოღიკის მაგივრად ლოგია იყოს. უნდა ძველებურად ლოგიკური ვიხმაროთ.

ხმარობენ აგრეთვე ზედ-ასართავს: კლასიური, ნაცვლად კლასიკურისა. სახელი კლასიკა იძლევა კლასიკურს, ხოლო კლასი—კლასურს. ამბობენ გენერიული, უნდა ითქვას გენერული: ამბობენ პერიოდიული, უნდა ითქვას პერიოდული. ნაცვლად ორგანიულისა უნდა იწერებოდეს ორგანული, როგორც წარმომდგარი სახელიდან: ორგანო და არა ორგანია ან ორგანიო.

ხშირად უცხო ტერმინებს მეორეგვარი ზედშესული უფრო უხდება. სახელისთვის წინ სა-ს მიმატებით და საბოლოვო ხმოვანი ასოს ო-დ შეცვლით ხშირად უფრო ლამაზი და მოხდენილი ზედსართავი მიიღება.

საბედნიეროდ, ამ ჯურის ზედსართავი თან-და-თან ფეხს იკიდებს ქართულს ლიტერატურაში და მალე უპირატესობასაც მოიპოვებს. ასეთებია: საისტორიო, საპოლიტიკო, საარტისტო, სალიტერატურო, სალირიკო, სადრამო ნაცვლად დრამატიულისა, რომელიც სრულიად უკანონოა, საანალიზო, ნაცვლად ანალიტიკურისა, რომელიც მხოლოდ ანალიტიკიდან შეგვიძლია ვაწარმოვოთ და არა ანალიზიდან. და მრავალი სხვა. კარი.

## ქართული საღამო ბათუმში

ჩვეულებრივი ქართული საღამო (მეჯვიდმეტე), რომელიც აქ 14-ს იანვარს იმართება ხოლმე, წელს დიდ თოვლის გამო იმ დღეს აღარ შესდგა და 5-ს თებერვლისათვის გადაიდო. მაგრამ არც ამ დღეს დადგა კარგი დარი, რის გამოც საღამოს ცოტა ხალხი დაესწრო. ამ არეულ დარიანობის გამო საღამოც არეული იყო... ქართულ-ფრანგულ-რუსული (უფრო უკანასკნელი). წარმოსადგენად დანიშნული იყო ვოდევილი „სიზმარი ტაინი სოვეტნიკისა“ ქართულად, რომელშიაც კ. მესხს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ მატარებლების უწესო მოძრაობის გამო მესხი თავის დროზე ვერ ჩამოვიდა და ვოდევილი ვერ დასდგეს. ბ. მესხმა დიდი ბოდიში მოიხადა 1-ლ განყოფილებაში. ბ. ნანობაშვილმა იმღერა ფრანგულად, რუსულად და იტალიურად. ეს გარემოება არამც თუ ქართველებს—უცხოელებსაც გაუკვირდათ, რადგან „ქართულ საღამოზედ“, პირველად ყველანი რამე ქართულის გაგონებას ველოდით, იმედი გვქონდა მეორე განყ. იმღერებდა ქართულად, როგორც ეს პრაგრამაში იყო გამოცხადებული, მაგრამ არც ეს მოხდა!.

მეორე განყ. კაშირინის დასმა წარმოადგინა კომედია „ეულანნი ი ნეულანნი“, რომელმაც ბევრი აცინა ხალხი. მესამე განყ. ნიკოლაძის მიერ დადგმულ ცოცხალ სურათებს არა უშავდა-რა, თუმცა არა-ქართული იყო. საზოგადოთ საღამოს ქართული ელფერი არ ედო!.. თუმცა საღამოს გამმართველთ ბევრი შრომა გასწიეს საღამოს რიგიან მოსაწყობად, მაგრამ, როგორც ვსთქვით წლევანდელმა არეულმა დარმა—საღამოც არია...

პირველად კ. მესხს მისალოცი ადრესი მიართვა ბ. კაშირინმა ბათუმის რუსულ დრამატიულ დასის სახელით, შემდეგ აქაურმა ქართველმა საზოგადოებამ და ბოლოს ბ. გრიგორიანცმა სომხის საზოგადოების სახელით უთხრა სიტყვა.

ბოლოს კ. მესხმა ყველას მადლობა გადაუხადა. საღამო ევროპიული და ჩვენებური ცეკვით დამთავრდა დილის 5 საათზე. ტრ. ინახარიძე.

## ქუთაისის თეატრი

ქუთაისი. კვირას, 30 იანვარს, ქართული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იყო ჯაკომეტის ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია „ივდითი“.

პიესა ახალი არ არის. ქართული საზოგადოება კარგად იცნობს და ამიტომ შინაარს არ ვეხებით. მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ პიესების დადგმა ქუთაისის სცენაზე ძლიერ ძნელია. ხელს არაფერი არ უწყობს: არც ბუტაფორია, არც დეკორაციები, არც ტანსაცმელი, არც სტატისტები და არც სხვა. თუ კი გარეგნული მხარე პიესისა კარგად არ არის მოწყობილი, პიესის შთაბეჭდილება თითქმის ნახევრდება. „ივდითი“ ამ მხრივ ძლიერ სუსტად იყო დადგმული, ებრაელ ხალხის მაგივრად კი სცენაზე მოსჩანდა ორი სამი არაბის მსგავსი სტატისტი, რომელნიც მიხვრა მოხვრით და თამაშით მხოლოდ აუშნოებდნენ პიესას.

მაგრამ ეს წვრილმანი ნაკლი სრულიად გამოისყიდა ქ-ნ ნ. ჩხეიძის ღვთიურმა ნიჭმა. მისმა შეუდარებელმა თამაშმა ისეთ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება, რომ მეხუთე მოქმედებაში გამოსვლის დროს დაუსრულებელი ტაშის ცემა და „ვაშა“ ისმოდა. და სწორედ ღირსიც იყო ასეთი „ოვაციისა“, რადგანაც ქ-ნი ჩხეიძე ამ საღამოს დიდის აღფრთოვანებითა და გრძნობით თამაშობდა. საუცხოვოა იმის გადმოცემაში ივდითი, ახალგაზდა ებრაელი ქალი, საუცხოვო სილამაზის ქვრივი, ღვთისადმი სიყვარული და სათნოება, მამულიშვილური გრძნობა, თავის სამშობლოსა და ხალხისადმი გულწრფელი თაყვანისცემა, კეთილშობილური გრძნობა უშიშრობისა და ხალხის გულისათვის თავის განაწირვისა ერთმანეთში ჩაქსოვილი და გადახლართული, მსახიობისათვის მდიდარ მასალას იძლევა. ამ მასალის შემუშავებისათვის და მათი ივდითის როლში ასე მშვენივრად დამორჩილებისათვის შრომასა და მუყაითობის გარდა იშვიათი ნიჭიცაა საჭირო. სხვაფრივ შეუძლებელია ამ როლის ასე უნაკლულოდ შესრულება, როგორიც ჩვენ ქ-მა ნ. ჩხეიძემ დაგვანახვა.

აგრეთვე მშვენივრად შეასრულა ნაკისრი როლი არაბელისა ქ-მა მ. მდივანმა. მისი ყოველი ნაბიჯი, სიტყვა და კილო მშვენივრად გადმოგვცემდა იმ სულიერ დრამას, რომელსაც განიცდის გადედოფლებული მონა, როდესაც თავის ადგილს ახალ ვარსკლავს—ივდითს უთმობს. მტარვალის ნებით ისევ მონად ქცეული, მუხლს იდრეკს ახალ ბრძანებელის—ივდითის-წინაშე; ეს ძალადევი უბრალო მუხლის მოდრეკა ისე მოხდენილად შეასრულა ქ-ნმა მდივანმა, რომ იგი საკმარისი იყო, რათა მსმენელს მთელი მისი სულიერი ტრაგედია გადაეშლოდა, რათა ეგრძნო, რომ არაბელი უშურისძიებოდ არ ჩაატარებს ასეთ დამცირებას.

დანარჩენ ამსრულებელთაგან როგორც მუდამ, ძლიერ კარგი იყო ბ-ნი ყალაბეგიშვილი. იმისი დაკვირვებული და შეგნებული თამაში მუდამ აღტაცებას იწვევს მაყურებლებში. მხოლოდ მღვდელ-მთავარ ელეაქიმს, ოთხმოცი წლის მოხუცს [illegible] თესი იქნებოდა ცოტა დონდ [illegible] შესაფერი ხმა ჰქონოდა.

ბ-ნ დადიანს შესაფერი როლი არ ჰქონდა. მისი საქმე რეზონიორების როლებია, სადაც ის საუცხოვოა და ოლოფერნ—დევ-კაცი კი, რომლის ხმლის აწევასაც ვერავინ ბედავს, მკაცრი, სასტიკი მტარვალია, რომლისათვისაც კეთილშობილური გრძნობანი, პატიოსნება, სიბრალული, სათნოება და მოხუცებულობის პატივისცემა—ცარიელი სიტყვებია, რომელიც ადამიანის სისხლით ვერ გამძღარა და მხოლოდ იმაზე ჰფიქრობს, ვინ გაჟლიტოს და როგორ აწამოს—უკეთეს აღმასრულებელს ითხოვს. ბ-მა შ. დადიანმა შესაფერად ვერ გადმოგვცა ვერც მისი სიმხეცე, ვერც სიმკაცრე და ვერც გარყვნილება.

დანარჩენებიდან შედარებით გვარიანი იყო ა. მურუსიძე.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო მაგრამ ეს იმიტომ, რომ აქაური ებრაელები დაინტერესდნენ პიესის შინაარსით. საკვირველია აქაურ ებრაელ ინტელიგენციის საქმე. ისინი მხოლოდ მაშინა სცნობენ საჭიროდ თეატრში შესვლას, როდესაც წარმოდგენას ებრაული ხასიათი აქვს, თითქოს დანარჩენი ნაწილი კაცობრიობის კულტურისა კერძოდ ხელოვნებისა, მათ არ აინტერესებს, მათაც არ ეხება.

მესამე მოქმედების შემდეგ ბევრი პალტოსა და კალოშებს იცვამდა და მიდიოდა. ჩემს შეკითხვაზე მიპასუხეს, რომ ესენი ცირკში ჭიდაობის საყურებლად მიეშურებიან. ოლონდაც! კარგი იქნებოდა რომ ბევრი თეატრში დარჩენილთაგანიც მიბაძავდეს მათ მაგალითს, რადგანაც ისინი თვითონაც არ ისმენენ და ჩურჩულხითხითით სხვებსაც უშლიან სმენას. რა გაემტყუნება აქაურ მოწაფე ახალგაზდობას, როდესაც ზოგიერთი ინტელიგენტები პარტერში, ტრაგიზმის დროს, ქალებს ეჩურჩულებიან, ხითხითებენ და ოხუნჯობენ. ნუ გაგიკვირდებათ, ბატონებო, თუ ზევით „ბალკონზე“ მოქმედების დროს ჩხუბი მოხდება ან მოისმის სიტყვები: „მარუსია დუშკა!..“ ან „ვახ, რა დამსხვილებულა მანიჩკა!..“ ამის მაგალითს თქვენშივე ჰხედავთ და ნაყოფიერადაც იყენებს მოწაფე-ახალგაზდობის შეუგნებელი ნაწილი. ხთ—ლი.

## ახალციხის ამბები

— კვირას, 30 იანვარს, სამოქალაქო კლუბში ტაშჩიანის საბენეფისოდ გამართული იქმნა სომხური წარმოდგენა. წარმოადგინეს „გაზაფხულის ნიაღვარი“. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა; განსაკუთრებით კარგი იყო მობენეფისე. ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა. მრავალი საჩუქრები მიართვეს მობენეფისეს.

— 2 თებერვალს ამავე კლუბში, სამოქალაქო სკოლის ღარიბ მოწაფეების სასარგებლოდ, გამართულ იქმნა რუსული წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა „ქორწინება“, კომედია 2 მოქ. გოგოლისა. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. ხალხი ცოტა დაესწრო. გუბერნატორის ბრძანებით საკვირაო სკოლა დაიკეტა. როგორც გავიგეთ სკოლის გამგეებს ოფიციალური ნებართვა არ ჰქონიათ. საჭიროა დროზე იზრუნონ ნებართვისათვის.

— სამოქალაქო კლუბში მოხდა მამასახლისთა არჩევნები. არჩეულ იქნა 3 ქართველი, 5 რუსი და 7 სომეხი.

## სოფლად

„დარიბს ორკეცად უშველის, ვინც დროზე უშველის“.

ყველა დარწმუნებული იყო, მთავრობის მამასახლისებს გადააყენებდნენ თუ არა, სოფელს ხარჯი შეუმცირდებოდა, პირიქით სოფელს მოხელეების ხარჯი მიემატა.

რათა? რისთვის? ნუ თუ საკმარისი არ იყო, რაც მათ იხადეს?

აბა, სწორეთ შევხედოთ, შეიძლება, თუ არა ხარჯი შეუმცირდეს სოფელს.

მთავრობის მამასახლისების დროს ოქონის საზოგადოებას სოფლის მოხელეებისთვის მეკომურს გამოჰქონდა 2 მ. 80 კ., წელს კი მეკომური იხდის—2 მ. 92 კ.

მთავრობის მამასახლისები რომ გადააყენეს, ჩაფრებსა და მამასახლისებს ჯამაგირი ჩამოაკლდათ, ზოგან მოხელეების შტატიც შემცირდა.

---

დასავლეთ ევროპის ხალხმა შესძლოვო“.

მაგრამ განა მართალია ეს მოსაზრება? ყოველთვის, როცა ჩვენს სოფელს უჩვენებდნენ ან უმტკიცებდნენ ამა თუ იმ ახალ რისიმე სარგებლობას, მას შეუთვისებია და თავისთვის სავსებით გამოუყენებია იგი. გაიხსენეთ მაგალითად რა საოცარის სისწრაფით აღადგინეს და განაახლეს ვენახები ქუთაისის გუბერნიაში, დააკვირდით, როგორ გავრცელდა ყველგან ვაზის სნეულებათა წამლობა, რა ხალისით ეკიდება ხალხი გაუმჯობესებულ გუთნების სყიდვას ქიზიყში, კახეთში და სხვა ადგილებშიაც. სხვა რომელი ახალი და სასარგებლო რამ უჩვენებიათ ჩვენებურ სოფლის მეურნეებისთვის და რა დარჩა მათ შეუთვისებელი?

ამას გარდა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თვით კოოპერაცია ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული და უცვლელი, მხოლოდ ერთ რომელიმე პირობებში გამოსაყენებელი საორგანიზაციო ფორმა როდია; პირიქით იგი ნაირ-ნაირ გარეგან სახეს იღებს, ეთვისება წარმოების ყოველგვარ პირობებს, ხალხის განვითარებას და ეროვნულ ხასიათის თავისებურობას. კოოპერაცია ფეხს იკიდებს და ვრცელდება მაღალ კულტურის მქონე ქვეყნებში (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი) და იმ ერებშიაც, რომლებიც კულტურით ჩვენზე მაღლა არა სდგანან (სერბია, ბოლგარია, რუმინია). იგი შეგვხდება ჩრდილოეთისკენაც (სკანდინავია, ფინლანდია) და სამხრეთშიაც (იტალია, ალჟირი). ცხადია, რომ ჩვენებურ პირობების შესაფერი საამხანაგო ორგანიზაციაც ადვილად მოინახება, ჩვენი ხალხიც მას ადვილათვე შეითვისებს და განავითარებს.

ჩვენი ხალხი დღეს კიდევ უვიცობის მორევში თუ სცურავს, ჩვენებური სასოფლო მეურნეობა დღესაც კიდევ პირვანდებულ უვარგის წესებს თუ ვერ გასცილებია, ამაში ხალხს არავითარი ბრალი არ უძღვის; ამაში დამნაშავეა ხალხის განათლებელი ნაწილი, მისი ინტელიგენცია, რომელსაც დღევანდლამდე ხალხისთვის ვერაფერი ურგია.

ღროა შევიგნოთ ჩვენი დანაშაული და ხალხს მივეშველნეთ ცხოვრების გარდასაქმნელად, მას შესაფერი გზა და საშუალება ვუჩვენოთ!..

ეს საქმე უნდა ითავოს ახლად დაარსებულმა ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ, რომლის მიზანზე და დანიშნულებაზე შემდეგს წერილში ვილაპარაკებთ.

ს. ვ—ხ—.

სამაგიეროთ ყველა საზოგადოებაში სადარაჯო რაზმი ჩააყენეს, რომლისთვისაც საზოგადოებებს მათ ბინის ქირად თვეში 35 მ. დააკისრეს.

ჯერ ერთი სულ მეტია სადარაჯო რაზმის ჩაყენება, ის თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს და, თუ მართლა საჭიროება ითხოვს რაზმების ჩაყენებას, განა ბინისთვის თვეში 35 მან. უნდა იხადოს საზოგადოებამ და ისიც სოფლად? სად გაგონილა, მაგ ფასად ხომ ქალაქ ადგილასაც იშოვება. ბევრი-ბევრი მაგ ბინისათვის საკმარისია—15 მან. და იშოვება კიდეც, 20 მან. კი ტყუილათაა დაკისრებული საზოგადოებაზე.

მთავრობის მამასახლისობის დროს, ყველა სოფელში ყარაული იდგა დღე და ღამე. შარშან სოფლებში ყარაული აღარ გამოდიოდა, ისიც მხოლოდ იმ სოფელში იდგა ყარაული მორიგეობით სადაც კანცელარია არსებობს.

ყარაულობამ თავის დრო მოსჭამა, არავითარი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ სტრაჟნიკების და მამასახლისების მოსამსახურეთაა დაწესებული. წელს საზოგადოებას ეკისრება კანცელარიაში მუდმივ იყოლიოს ერთი ყარაული 15 მანეთად თვეში. კანცელარიის მცველი (сторожъ) რაღას აკეთებს? არა კმარა? მაგრამ საზოგადოების ფული აბუჩათ აქვთ აგდებული და, აბა, ვინ გაუფრთხილდება.

შარშან საზოგადოებას 400 მან. გადაახდევინეს კანცელარიის გადასაკეთებლად და ბოსლისთვის. კანცელარიაში ღორი არ შეიგდება, ისეთ უხეიროთ არის გაკეთებული, ბოსელი არ არის და სტრაჟნიკების ცხენებისთვის ბოსლისთვის ქირას აძლევენ თვეში სამ მანეთს.

მომრიგებელს რომ გამჭრიახობა ჰქონოდა, ყარაულს არ დაანიშვნინებდა, ბოსლის ქირას სამ მანეთს არ მიაცემინებდა, სადარაჯო რაზმისათვის ბინის ქირას 15 მანეთზე მეტს არ დაუნიშნავდნენ და კანცელარიის მცველსაც, რომელზედაც მთხოვნელი ბევრია, ხუთ მანეთად იშოვიდა.

მაშასადამე 41 მანეთის დაკისრება თვეში საზოგადოებაზე დიდად სამძიმოა, ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებამ 492 მან. უნდა გადიხადოს.

წელს სამამასახლისო ფული რომ გაწერეს, ზოგ სოფელს მეტი შეაწერეს, ზოგს—ნაკლები, თუმცა კომლზე პირველ ნახევრის წლისა ნაანკარიშევია 1 მ. 46 კ.

ბევრმა სოფელმა, როდესაც საოჯახო სიები შეადგინეს, კომლთა რიცხვი დამალეს, ამ სიებით ხელმძღვანელობს მომრიგებელი-შუამავალი. მამასახლისს არა გაეგება რა, მწერალიაც უცხოა და ამ ქვეყნის არა იცის რა; ეს შეცდომაც ამიტომ მოხდა.

ცოდო-მადლია, ყველამ თანაბარად უნდა გადაიხადოს და საწყენიაც არავის დარჩება.

ეხლანდელ გაწერით ზოგ სოფელში კომლს 1 მ. 5 კ. ჰხდება, ზოგან- 1 მ. 9 კ. და კიდევ—1 მ. 15 კ. ნაცვლად 1 მ. 46 კაპეიკისა. მე დარწმუნებული ვარ სხვა სოფლებშიაც ეს შეცდომები იქნება.

ყველამ ეს შეცდომები რომ თავიდან აეცილებინათ და ეკონომია გაეკეთებინათ კომლს, მოხელეების შესანახად 2 მ. 92 კ. ნაცვლად 2 მანეთი შეხვდებოდა.

—

ერთი წელიწადი ჯერ არაა, რაც აბისის საზოგადოება დაარსდა. ბლის საზოგადოებას და ოქონისას ჩამოაშორეს რამდენიმე სოფელი და შეადგინეს ეს ახალი საზოგადოება. სამამასახლისო ფულის ამ საზოგადოებაში მეკუმური იხდის—3 მ. 16 კ. გარდა გზირისა, რომლისთვისაც კომლზე 15 კ. იხარჯება.

ამ სამამასახლისოს დაარსება არაფერს შეღავათს მისცემს მცხოვრებლებს, მხოლოდ სოფლის მოხელეების შტატი მრავლდება. მცხოვრებლებს არც წინედ უკეთდებოდათ საქმე და არც ეხლა გაუკეთდებათ მაგ სამამასახლისოს დაარსებით, ვიდრე საქმე საზოგადოებას არ ეკითხება.

საზოგადოებას შეუძლიან თავის თავს მოუაროს, აირჩიოს ისეთი პირები, რომ სხვა არა იყოს რა, მათ მოხელეების ხარჯთ აღრიცხვას და წესიერად გაწერვას გაუძღვენ.

სოფელი უკან და უკან მიდის, მათთვის ყოველ კაპიკს დიდი მნიშვნელობა აქვს, შველა ეჭირვება და, თუ დროზე არ უშველეთ, შემდეგ მათი გამობრუნება გვიან იქნება.

—

დიდი ხანია ლაპარაკია, რომ გომის სადგურზე საფოსტო განყოფილება უნდა დაარსებულიყო. გომის მცხოვრებლებმა შეჰკრიფეს, როგორც გამიგონია 100 მან. საფოსტო განყოფილების ინვენტარისათვის და წინადღელ ბოქაულს ბ-ნ ბახტაძეს ჩააბარეს ხაზინაში წარსადგენად.

თითქმის ყველა სადგურზე გაიხსნა საფოსტო განყოფილება. გომის სადგურს დიდი რაიონი აკრავს, ყველა ჰგრძნობს დაარსების აუცილებლივ საჭიროებას და თავგამოდებით კი არავინა სცდილობს.

ეს საქმე უნდა იკისროს და შეუძლიან კიდეც გომის მემამულეთა სინდიკატმა, რომ დროზე ყველას ეშველოს.

**Legatus.**

## სტუდენტობის მღელვარება პარიზში

„ისე არაფერი არ მაშინებს, როგორც სტუდენტობის მღელვარებამ" სწერდა ვალდეკ-რუსსო თავის მეგობარ ჟოზეფ რეინაკს 1899 წელს, როდესაც სამინისტრო შეადგინა. განსვენებულის პორტფელში ერთი ქაღალდი იპოვნეს, საიდანაცა სჩანს რომ მილერანი განათლების მინისტრად ვერ მიუწვევია მხოლოდ იმის გამო, რომ შეიძლება სტუდენტობამ მანიფესტაციები მოახდინოს და პროტესტი განაცხადოს, რადგანაც მილერანი კარიერისტია და სოციალისტთა აგიტატორიო.

საფრანგეთის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი ბრიანიც ამავე აზრისა ყოფილა.

წარსულ კვირაში იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტებმა არეულობა მოახდინეს. პოლიციის გაგზავნის მაგიერ, ბრიანმა ურჩია, დეკანს, ერთის თვით ლექციების კითხვა შეაჩერეთ პირველ და მეორე კურსზედაო.

სტუდენტების მღელვარების საბაბად პროფესორი ვალე იყო, რომელიც ეგზამენების დროს მეტად სასტიკად იქცევაო.

ლექციები დროებით შეაჩერეს. თუ ამ ხნის განმავლობაში სტუდენტობა არ დაწყნარდება და პროფესორ ვალეს არ შეურიგდება, შესაძლოა ვალეს სამსახურიდან გადადგომაც მოუხდეს. ბრიანიც თითქმის თავის წინამოადგილის კლემანსოს სიტყვებს იმეორებს: სტუდენტებს ძალით ხომ ვერ მოვახვევთ თავზე იმ წესებს, რაც მათ არ მოსწონთ და ვერ მივაჩვევთ პროფესორებს, რომელნიც სძულთ! უმრავლესობა სრულ წლოვანი ხალხია, ესე იგი თავისუფალი მოქალაქენი და უნივერსიტეტიც ყაზარმა არ არის"...

სტუდენტების მანიფესტაციების დროს პარიზის პოლიციის უფროსი ლეპინი შეჯგუფულ სტუდენტობაში ჩაერია და ამშვიდებდა: ამხანაგებო, მეც ვყოფილვარ სტუდენტად, გეთაყვათ დაწყნარდით და ქუჩებში უწესობას ნუ ახდენთო. როცა ვერ დაიყოლია, იგი სათავეში ჩაუდგა და რიგ-რიგად დაწყობილ სტუდენტობას წინ გაუძღვა, თვითონაც მღეროდა, ჰყვიროდა, ხელებს იქნევდა, როგორც სტუდენტები, რომ როგორმე დაეშორებინა იმ უბნისათვის, სადაც მოსალოდნელი იყო ხალხიც მიმხრობოდა სტუდენტთა მანიფესტაციას.

პოლიციელები შეშინებით უცქეროდნენ თავის უფროს და ჰფიქრობდნენ—ჭკუაზე ხომ არ შესცდაო. დეპუტატებმა კლემანსოს შესჩივლეს: ლეპინი თავის ღირსებას ამცირებსო. მაგრამ „ძმა-ბიჭ-ამხანაგის" ხერხმა გასჭრა და მანიფესტაციამაც მშვიდობიანად ჩაიარა, არც არავინ დაუპატიმრებიათ. თვით უნივერსიტეტში კი კლემანსომ აღადგინა წესიერება.

## წერილი რედ. მიმართ

მივიღე 37 ცალი ქართული სხვა-და სხვა წიგნი „ქარ. შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან" მეტეხის წიგნთ საცავის სასარგებლოდ, რისთვისაც უღრმეს მადლობასა გწირავ, როგორც ტუსაღების, ისე ჩემის მხრივაც. კარგი იქმნებოდა ხსენებულ საზოგადოებას კერძო პირებიც მიჰბაძავდნენ, რადგან ტუსაღების მიერ წიგნის კითხვის დიდი მოთხოვნილებაა.

მეტეხის ციხის მღვდელი

**მიხეილ დევიძე.**

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მოგვცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომლებმაც ხელი შეგვიწყვეს და ს. სამების (გურია) სკოლის ბავშვებისთვის 2 იან. „შობის-ხე" გაგვამართვინეს რითაც დიდად, ასიამოვნე, როგორც ბავშვები, ისე მათი მშობლებიც.

შემომწირველთა სია: ორი მანეთი—მიხაკომ. თითო მანეთი: ისიდორე ხურციძემ, ნიკომ, გრიგოლ მახარაძემ, მღ. ეპიფანე იოსელიამ და ბენიამენ იაშვილმა. ათ-ათი შაური: სიო ჟღენტმა, ექვთიმე ბურჭულაძემ და მოსე. წეროძემ. ორი აბაზი—ილიკო გოგელიამ. ექვს-ექვსი შაური: მავრა კობალაძემ, ესოფ წეროძემ და მოსე ჟღენტმა. ხუთ-ხუთი შაური: ბენო ბურჭულაძემ, სანდრო კობალაძემ, მარ. ჰინჭარაძემ, ბარნაბა ჯაშმა, ს. წეროძემ და ერმალოზ კობალაძემ. თითო აბაზი: გერასიმე წეროძემ, ვასილ ჩიჩუამ, იასონ წეროძემ, ხარიტონ მანთიძემ, ბათლომე სიხარულიძემ, გიორგი შონვაძემ, ლადიკო წეროძემ, ნიკიფორ გოგოლაძემ, ივანე ჯიბუტმა, ივანე ბურჭულაძემ და ივანე ხვედელიძემ. ორ-ორი შაური: დომენტი ჟღენტმა, ლავრენტი წეროძემ და მელიტონ ჟღენტმა. თეოფილე გურგენიძემ ორი გირვანქა კანფეტი.

დიდ მადლობას უძღვნით მასწავლებელ ლადო ცქვიტინიძეს, რომლის მოწაფეებმა საუცხოვოდ წაიკითხეს ლექსები, რითაც დიდად კმაყოფილნი დარჩნენ მშობლები და დამსწრე საზოგადოებაც.

გამგე „შობის ხის"

**პლატონიდა ელიაძისა.**

—

ბ- რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ „სახალხო გაზეთის" საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ზუგდიდის მაცხოვრის ორ-შტატიან ეკლესიის კრებულის მხრივ, ისე მრევლის მხრივაც: ბ-ნ ისააკ კიპ. ძეს ჯაბუას, რომელმაც შემოსწირა ტრაპეზზე დასასვენებელი ჯვარი, ღირებული 10 მანეთად.

მღვდელი **გაბრიელ ჯაჭვა.**

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცე ბ. „მაკოშვილის" ორ კორესპონდენციას (დაბა აბაშიდან), მოთავსებულს „სახალხო გაზეთის" 1910 წლ. 172 და 190 ნომრებში. მე ვეხები კორესპონდენციების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც საქალებო სკოლის მასწავლებელთა წინააღმდეგაა მიმართული.

ბ. „მაკოშვილი" პირველ კორესპონდენციაში იწერება: „საქალებო სკოლაში სუსტს მოწაფეებს იძულებულს ხდიან რეპეტიტორები იყოლიონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხვით ემუქრებიანო". ეს ცნობა სინამდვილეს მოკლებულია, ვინაიდგან ჩვენ-მასწავლებლებმა სუსტს მოწაფეებს მიუთითეთ უფრო ნასწავლ თავიანთ დებზედ, ძმებზე (ვისაც ჰყავს), რომელთა დახმარებით ურჩევდით შესწავლათ საჭირო გაკვეთილები. რაც შეეხება „რეპეტიტორის აყვანას", ან უკეთ რომ ვსთქვათ დაქირავებას, ამაზე ხსენებაც არ ყოფილა, ვინაიდგან „მაკოშვილზე" არა ნაკლებ ვიცნობთ ხალხის ნივთიერ მდგომარეობას, რა არის აქ გასაკიცხავი, ან რომელი საშუალებაა არა პედაგოგიური.

შემდეგ კორესპონდენტი სწერს: „უმჯობესია მასწავლებელ ქალებმა სავაჟო სკოლის მასწავლებლებს მიჰბაძონ და ჩამორჩენილ მოწაფეებთან ნასადილევს იმეცადინონ".

ეს აზრი „მაკოშვილისა", ერთის მხრივ, მოუხერხებელია ჩვენს (სამეგრელო-გურია-იმერეთში) სკოლებში და მეორეს მხრივ ფაქტიურად სიმართლეს მოკლებულია. გაკვეთილები ხშირად ორ-სამ საათზედ თავდება, ბავშვის სახლი სკოლაზე 3-4 ვერსითაა მოშორებული. განა შესაძლებელია ამ მანძილიდან მოწაფეთ სადამოობითაც იარონ სკოლაში!.. მეორეც, სავაჟო სკოლაში არასოდეს არ მეცადინეობდნენ ნასადილევს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ მასწავლებლის მიერ სკოლის რომონტის გამო (დილით არ ჰქონდათ სამეცადინო ოთახი) ნასადილევს მეცადინეობდნენ რაც მხოლოდ რამოდენიმე დღეს გაგრძელდა. რად დასჭირდა ბ. „მაკოშვილს" ამ სიცრუის შეთხზვა?!

მეორე კორესპონდენციაში ავტორი ჩვენ შორის უკმაყოფილებას აღწერს, რომლის მიზეზად ვითომდა ჭორიკანობასა და შურს ასახელებს. სრულებითაც არა. აქ უფრო სხვა, ღრმა, მიზეზებია, რომლის გამომჟღავნებაც, ყველასთვის გასაგებ პირობათა გამო, არ შეგვიძლიან. ბ. „მაკოშვილი" კი თავისი წერილებით დიდს სამსახურს უწევს დღეს გამარჯვებულ პირებს, მაგრამ ვნახოთ მომავალში!..

ბ. „მაკოშვილი" ასე ათავებს: „არ ვეხები საზოგადოთ საქმის დაყენებას საქალებო სკოლაში, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ რუსული ენის შემოღება პირველ განყოფილებაში სამოსწავლო წლის პირველ თვეებიდან არა სასიამოვნო მოვლენააო". ეს ცნობაც მტკნარი სიცრუეა. სწავლა პირველ განყოფილებაში ენკენისთვიდან **დღემდე** მხოლოდ ქართულს ენაზედ სწარმოებს.

**ქვათანის საქალებო სკოლის**

**ერთი მასწავლებელთაგანი.**


# განცხადებანი

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან

**გაიხსნა**

**მუხრანსკის ახალი კერძო**

# სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

**Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подьема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.**

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ნ. მ. ახმახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9-ნახ. საათ.

**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ო. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—25)

სპეციალური

# სამკურნალო

**კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.**

გოლოვინის პრ. N 9, გარნიზონის ეკლესიის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები **გ. ა. ბედალინი და ი. მ. ზაგლუდოვსკი** 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

შეხვდის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 06 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—25)

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეჟანიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგაბაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. გ. გეიეკბაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 საათ. **606 წ ა მ ლ ო ბ ა**

**კონსულტატიურად**

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**მიიღება ხელის მოწერა**

ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).

# ცხოვრება და ხელოვნება

ფასი წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქცია მიმართავს ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ-ხელოვანთ თანამშრომლის მიღებისთვის. განყოფილებათა რედაქტორები.

პუბლიცისტკა ფ. გოგიჩაიშვილი, სიტყვა-კაზმული მწერლობა შ. არაგვისპირელი. (ბელეტრისტია' სიტყვა-წყობილი მწერლობა გ. შ—ლი. (პოეზია) პედაგოგიკა. ალ. მდივანი. მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე. ისტორია იუს. აბულაძე. მედიცინა ვ. დამბაშიძე. მუსიკა ზ. ფალიაშვილი. დრამა გ. შალიკაშვილი. საცენო ხელოვნება ვ. მესხიშვილი. კრიტიკა და ბიბლიოგრ. ი გართაგავა. ბუნების მეტყველება ს. იაშვილი. მიმოხილვა ვ. გუნია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე.

პირველ ნომრიდან დაიწყო ბეჭვდა „როსტომიანისა" (ფირდუსის შაჰნამეხი) და შ. დადიანის დრამა „მდვიმეში".

რედაქცია. ტფილისი. სათავად-აზნაურო ქარვასლა თეატრის გვერდზედ, ტელეფონი N 862. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტი ი. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „НОВАЯ РѢЧЬ".

**Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянс ва, рядомъ съ театромъ. Редакція „Цховреба да Хеловнеба"**. რედაქცია ღიაა—10—3 ს. (6—უ—4)

# ქირომანტი-ხიროსოფი

გამოიცნობს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ყოველ სულიერ განცდასა და ჩვეულებას. ყველა კითხვაზე პასუხს იძლევა. პირისპირ ნახვითა და წერილით. მიხეილის პრ. N 97, სახლი 8. იღებს დილის 9 ს. საღამოს 8 საათამდე.

(10—1035—5)

# ქალის ტ.ნისამოსი 3 მან. 15 კაპ.

ვუგზავნი ფოსტით ფასდადებით, ჩინებულად შეკერილს, ზედა ი უბკას მატყლისას. ახალ მოდისა. ტრიკოსას ყოველგვარის ფერისას. ფლაქებითა და ყაითნით შემკულს, ხალათებს ხაზოვან-გარეთელი ნაქსოვარი, სახელოები და საყელო ფერადებით შემკული—ფასი 3 უბკა 3 მან. 15 კაპ. საუკეთესო ხარისხისა—3 მ. 75 კ. გასაგზავნს 45 კ. ვიღებთ. 3 იუბკასა და 3 ხალათის დაბარების დროს გასაგზავნს ფირმა კისრულობს. დაწუნებულს ფირმა უკანვე ღებულობს და ფულს უბრუნებს.

**ადრესი: Суконно-шерстянной мануфактурѣ Лодзь N 18-я Мецль 2678 8—31—6**

◀ **მშობიარეთათვის** ▶

# თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—57)

**გ. ყიფიანის დრამა**

# სამეგრელოს მთავარი ◀ ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.



# ყველას მოეხსენება,

**რომ შვეიცარია ყოველგვარ საათების უმთავრესი წყაროა მთელის ქვეყნიერებისათვის,** ამისათვის ყველა მსურველთ ვურჩევთ, საათები პირდაპირ შვეიცარიიდან დაიბარონ და მხოლოდ ჩვენგან. ეს უბის საათები მეტად ლამაზია, ლურჯის ფოლადისა, ფანტაზ-ფასონისა, მეტად თხელი (სისქე ვერცხ მანეთიანს არ აღემატება), ოქროს წყალში ან ვერცხლით ფანტ. ნაფერი ციფერბლატით, რემონტუარი, 40 საათში ერთხელ მოსამართი, ქვისა ლამაზ. გარეგან. ანკერის ისრით (იხ. სურათი), განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული, რომ საათი სწორედ დადიოდეს, ზედმიწევნით ნაცადი და წუთი-წუთზე შემოწმებული, ისეთი მტკიცეა რომ ქარხანა 5 წლის გარანტიას იძლევა. საათთან ერთად ეგზავნებათ პოსტამენტი „მოდერნი" თლილის მარმარილოსი 2 ბრინჯაოს სვეტით ბერძნულს ყაიდაზე გაკეთებული (იხილე სურათი), რაზედაც მეცადინეობის დროს უბის საათის ჩამოკიდვა შეგიძლიანთ, რაც საწერ მაგიდას თუ საპირფარეშო მაგიდასაც დაამშვენებს. საათი პოსტამენტიანად მხოლოდ 4 მ. 25 კ. ორი—8 მანეთი. ვგზავნით ფას-დადებით, უბეოდ. გადასაგზავნი ფასი ბაყის ზედ-მიზვლით მხოლოდ 40 კ., ციმბირში—75 კ. მისამართი, რომელიც შეგიძლიანთ ამოსჭრათ და ღია ბარათზე თუ დახურულ წერილის კონვერტზე დააკრათ:

| | |
|---|---|
| РОБЕРТЪ КОЛЛІО, Шо дефонъ 6. (Швейцарія). | ROBERT COILIOT, Chaux-de-Fonds (SUISSE) rue du Temple Allemand № 17. |

შვეიცარიაში გასაგზავნ ღია წერილს 4 კაპეიკიანი მარკა უნდა დააკრათ, დახურულს—10 კ., დაკვეთა რუსულს ენაზედაც შეიძლება.

Мецль. 10441. 3—1047—1




**მ ო ი თ ხ ო ვ ე თ**

# სწორე და მტკიცე საათები!

**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უბის საათები სამი სახურავით «ს ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

| | |
|---|---|
| ПАРИЖЪ 7 PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—30)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ✦ ახალ-ახალი ✦

# ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა). ხიზილალა

ახალი (Зернистая).

◀ პარკისა და კოლოფებით ▶

საუკეთესო ლოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 60 კ. და წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. 60 კ. მირ

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—98)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა